



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 91

ქალაქი ქუთაისი

27

ივნისი

2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და სააქციო საზოგადოება „სილქნეტის“ 23.10.2017 წლის N990/24-6; 23.10.2017 წლის N992/24-6; 03.11.2017 წლის N1041/24-6; 03.11.2017 წლის N1043/24-6 და 11.12.2017 წლის N1153/24-6 მომართვების შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ (ს/კ 204566978), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განკარგულების დანართში ჩამოთვლილი ქონების, 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 18.01.2018 წლის №12 ხელშეკრულებით გამარჯვებული ინდივიდუალური აუდიტორის, დავით რობაქიძის №002/8-17 დ.რ. 25.02.2018 წლის დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეადგენს 150,0 (ას ორმოცდაათი) ლარს.

**მუხლი 3.** სააქციო საზოგადოება „სილქნეტმა“ (ს/კ 204566978) უზრუნველყოს იჯარის ფორმით სარგებლობაში გადასაცემ განკარგულების დანართში მითითებული ტროტუარის ნაწილებზე შუალედური ბოძების განთავსება.

**მუხლი 4.** სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“ (ს/კ 204566978) ვალდებულია განკარგულების დანართში მითითებული ტროტუარის ნაწილებზე შუალედური ბოძების განთავსების შემდგომ ჩაატაროს ადდგენითი სამუშაოები.

**მუხლი 5.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 6.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 7.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 8.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

რამაზ ჩხიკვაძე

სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით),  
იჯარის ფორმით გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული  
ქონების ჩამონათვალი

№	ქონების დასახელება	უძრავი ქონების მისამართი	ფართობი ერთი ერთეული ბომის განთავსებისათვის	ბომის რაოდენობა (ცალი)	საკადასტრო კოდი
1.	ტროტუარის ნაწილი	ქალაქი ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა N48-ის სამხრეთით	0,5	1	03.01.22.339
2.	ტროტუარის ნაწილი	ქალაქი ქუთაისი, ნიუპორტის ქუჩა N2-ის დასავლეთით	0,5	2	03.03.22.382
3.	ტროტუარის ნაწილი	ქალაქი ქუთაისი, კოსტავას ქუჩა N34-ის ჩრდილოეთით	0,5	2	03.03.21.637
4.	ტროტუარის ნაწილი	ქალაქი ქუთაისი, გაპონოვის ქუჩა N27-ის ჩრდილოეთით	0,5	1	03.03.22.375
5.	ტროტუარის ნაწილი	ქალაქი ქუთაისი, გაპონოვის ქუჩა N47-ის სამხრეთით	0,5	3	03.03.22.396
6.	ტროტუარის ნაწილი	ქალაქი ქუთაისი, გაპონოვის ქუჩა N48-ის ჩრდილოეთით	0,5	1	03.03.22.394
7.	ტროტუარის ნაწილი	ქალაქი ქუთაისი, გაპონოვის ქუჩა N50-ის ჩრდილოეთით	0,5	1	03.03.22.397
8.	ტროტუარის ნაწილი	ქალაქი ქუთაისი, გაპონოვის ქუჩა N60-ის ჩრდილოეთით	0,5	1	03.03.22.398
9.	ტროტუარის ნაწილი	ქალაქი ქუთაისი, ლუკა ასათიანის ქუჩისა და სადგურის ქუჩის 1-ლი შესახვევის გადაკვეთა	0,5	1	03.06.22.498
10.	ტროტუარის ნაწილი	ქალაქი ქუთაისი, ფოთის ქუჩა N40-ის სამხრეთით	0,5	1	03.06.21.304

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,  
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის  
შემსრულებელი

რამაზ ჩხიკვაძე